თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №12

თბილისი, 27 ოქტომბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 27 ოქტომბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 13:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – მარიამ მოსიაშვილი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 13:10 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4

პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.
2. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 18-25 ოქტომბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
3. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ, რამდენადაც არჩევნების მეორე ტურამდე კომისიის სხდომა აღარ გაიმართებოდა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, იმედი გამოთქვა, რომ კენჭისყრის პროცედურა, პირველი ტურის მსგავსად, ჩაივლიდა მშვიდ, თავისუფალ და გამჭვირვალე გარემოში.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვის ფარგლებში, საკითხზე, რომელიც შეეხებოდა პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი კახა კუჭავას, მიერ საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნების" სიმბოლიკით და საარჩევნო ნომრის მქონე პირბადით მისვლას, ბატონმა თორნიკემ სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი სანტურიანს.

სიტყვით გამომსვლელის განცხადებით, კენჭისყრის დღეს ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა 4 საჩივარი, რაც შემდგომში გადმოიგზავნა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ჩატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება. წარმოების შედეგად დადგინდა, რომ დარღვეული იყო საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა (კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იკრძალება აგიტაცია). მოცემულ შემთხვევაში, მათ შორის, ბატონი კახა კუჭავას წარმომადგენლის მხრიდან დადასტურდა, რომ ბატონ კახას ეკეთა პარტიული სიმბოლიკის შემცველი პირბადე, რაც არ ყოფილა მიზანმიმართული. შესაბამისად, სამართალდარღვევის ოქმი გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ ბატონი კახა კუჭავა ცნო სამართალდამრღვევად და მას გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ამ ეტაპზე ცესკო არ ფლობს ინფორმაციას, გასაჩივრდა თუ არა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება.

შემდეგ ინფორმაციაზე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა „მთავარი არხის" ეთერში გადაცემაში „ღამის მთავარი" გაასაჯაროა თბილისის მერიის ერთ-ერთი საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მიმოწერა. ლევან ხაბეიშვილის თქმით, ამ მიმოწერიდან ნათლად ჩანს კახა კალაძის მიმართ არათუ ამომრჩევლის, არამედ თანამშრომლების დამოკიდებულებაც კი) ისაუბრა თბილისის მერიის წარმომადგენელმა, ბატონმა მამუკა ჯაყელმა.

ბატონი მამუკას თქმით, ზემოხსენებული განცხადებიდან არ ირკვევა არც წყარო და არც ის ფაქტი, მართლაც შედგა თუ არა მსგავსი მიმოწერა; კონკრეტულად არავინ დასახელებულა და მიმოწერის მონახვაც ვერ მოხერხდა, რომ რაიმე პასუხი გაეცეს ამ საკითხს.

ბატონი მამუკა შეეხო მომდევნო ინფორმაციასაც (თბილისის მერმა კახა კალაძემ 20 ოქტომბერს განაცხადა, რომ დედაქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პენსიონერები მედიკამენტების შესაძენად ვაუჩერებს მიიღებენ. არასამთავრობო ორგანიზაციაში „სამართლიანი არჩევნები" (ISFED) ბიუჯეტის დაგეგმვასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში პრობლემას ვერ ხედავენ. თუმცა, ორგანიზაციის დირექტორი ნინო დოლიძე აღნიშნავს, რომ მხედველობაშია მისაღები პერიოდი, როცა კალაძემ ვაუჩერების შესახებ აუწყა მოსახლეობას, რომლის დაანონსებაც მერისგან, ამავე დროს, კანდიდატისგან, შესაძლოა, შეიცავდეს ამომრჩეველზე ზეგავლენის ნიშნებს) და აღნიშნა, რომ საკითხი გათვალისწინებულია 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ერთ-ერთ სოციალურ პროგრამაში. შესაბამისად, თბილისის მერმა ამის შესახებ, უბრალოდ, განაცხადა იმის ხაზგასასმელად, რომ 2022 წლის ბიუჯეტში აისახება ის ხარჯები, რაც მოხმარდება სოციალურად დაუცველ პენსიონერებს.

ამავე საკითხზე ისაუბრა გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა. მისი თქმით, ინფორმაციაში ხსენებული ISFED-ის წარმომადგენელიც ამბობს, რომ ზუსტად არ არის გარკვეული, არის თუ არა ზემომითითებული ქმედება მოსყიდვა. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ სახეზეა სოციალური პროგრამა, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს (სოციალურად დაუცველ პენსიონერებს), თუმცა, პროგრამა მიმართულია როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი, ისე შესაძლო ოპოზიციურად განწყობილი პენსიონერების მიმართ. ვინაიდან საკითხი შეეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, პროკურატურა ფაქტს მოსყიდვად ვერ შეაფასებს. ზოგადად, აღსანიშნავია, რომ რაიმე მატერიალურ სიკეთესთან დაკავშირებული საარჩევნო დაპირებები მოსყიდვად ვერ შეფასდება.

ქალბატონმა ლელა ხათრიძემ („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (ISFED) წარმომადგენელი), განაცხადა, რომ გარკვეული მატერიალური სიკეთის დაპირებაც შეიძლება შეიცავდეს მოსყიდვის ნიშნებს. მისი თქმით, ზოგადად, მოსყიდვის საქმეების მიმართ პრაქტიკა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან არის საკმაოდ პრობლემატური, რადგან საკვლევია საკითხი, თუ სად გადის ზღვარი დაპირებასა და მოსყიდვას შორის. კარგი იქნებოდა, პროკურატურამ დაამუშაოს პრაქტიკა მოსყიდვის რეგულირების შესახებ და, თუნდაც, კვლევის დონეზე გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს.

ქალბატონი ლელას საპასუხოდ მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დამტკიცებას თავისი პროცედურები აქვს – ქალაქის მერიამ ნოემბრამდე უნდა წარადგინოს მომდევნო წლის ბიუჯეტი საკრებულოში. ნოემბრამდე მიღებული რაიმე შენიშვნა იქნება გათვალისწინებული, მაგრამ არჩევნების თარიღის გამო ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურა ვერ გადავადდება.

ამ საკითხზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა, განაცხადა, რომ თემის ობიექტურად განხილვის კუთხით მნიშვნელოვანი იქნებოდა, ზემოხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციას ყურადღება გაემახვილებინა ოპოზიციური პარტიების დაპირებებზეც ამომრჩევლის მიმართ, ვინაიდან მათი დაპირებები უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის კომენტართან დაკავშირებით ქალბატონმა ლელამ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილებოდა ერთი პოლიტიკური პარტიის შემთხვევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ISFED-ს სხვა პოლიტიკური პარტიების საეჭვო ქმედებებთან დაკავშირებით არ გაუკეთებია განცხადება.

შემდეგ საკითხზე (აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1000 მოტობლოკის დარიგებას მომავალი კვირიდან აპირებს. ამავე სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოლქვაძე „ბათუმელებთან" ამბობს, რომ ტექნიკა უკვე ადგილზეა, მაგრამ დასაზუსტებელია ფერმერთა სია და უნდა გაირკვეს, ვის ერგება 1000 მოტობლოკი, როცა ეს გაზაფხულზე 1800-მა ფერმერმა მოითხოვა) ისაუბრა გენერალური პროკურორის მოადგილემ.

ბატონი გიორგი გაბიტაშვილის განცხადებით, როგორც გაირკვა, მოტობლოკების საჭიროება გაზაფხულზე დადგა. შესაბამისად, ჩატარდა ტენდერი და მოტობლოკები შეიძინეს ჩინეთში, რომლის ტრანსპორტირებასაც დრო დასჭირდა. მსგავსი ხასიათის სოციალური პროგრამა 2011 წლიდან ხორციელდება აჭარაში და, საერთო ჯამში, 5000-ზე მეტი მოტობლოკია განაწილებული. მსგავსი რამ არ არის უჩვეულო, რადგან წინა წლების არჩევნების დროსაც დარიგდა მოტობლოკები და ეს ფაქტი მოსყიდვის კუთხით არასდროს განხილულა. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც რაიმე ტიპის მოსყიდვის ნიშნები არ იკვეთება.

გენერალური პროკურორის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა მომდევნო ინფორმაციაზეც (სოფელ ბერშუეთის მცხოვრებთ არჩევნებამდე 3 თვით ადრე წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდებოდათ, მაგრამ გორში ოცნების გამარჯვების შემდგომ ბერშუეთის მკვიდრთ წყალი გადაუკეტეს და უთხრეს – ჯერ კოლოსალური გადასახადები (100-დან 200 ლარამდე) გადაეხადათ და მერე მიაწოდებდნენ წყალს. მოსახლეობა აპელირებს ამომრჩევლის მოსყიდვაზე) და აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს შორის სწორედ ეს საკითხი დგას მოსყიდვისგან ყველაზე შორს. უნდა ითქვას, რომ გადასახადების გადახდა მოსყიდვასთან ვერ იქნება დაკავშირებული.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი) ზემოგანხილულ საკითხზე განაცხადა, რომ ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობდა და მომავალში გარკვევისთანავე მიაწვდიდა კომისიას. ამასთან, მისი თქმით, სავარაუდოდ, სახეზეა შემთხვევა, რაც არაერთ სოფელში ხდება, კერძოდ კი, სოფლებში წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების შემდეგ განთავსებული მრიცხველების შესაბამისად გადასახადების აკრეფა საკმაოდ პრობლემურია. მისი თქმით, მანამდე წყლის

გადასახადს არავინ იხდიდა, მაგრამ როდესაც მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს სოფელში, ცოტა რთულია ხოლმე ამ სიახლესთან მოსახლეობის ადაპტირება.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრ ანი წითლიძის განცხადებით, ენგურჰესის დირექტორი ლევან მებონია და დირექტორთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ჯონი ჭანია დევნილებს პირადობის მოწმობებს ართმევენ, რათა მათ ვერ შეძლონ არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიღება) შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ, განაცხადა, რომ ინფორმაციაში საუბარი იყო, თითქოს ზემოხსენებული პირები აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებასთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს, რომ არჩევნების დღეს საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოუშვან დევნილები, რაც, მისი თქმით, აბსურდულია და სიმართლეს არ შეესაბამება. პირადობის მოწმობების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ მედიაში მოყვანილი ზოგადი სახის ბუნდოვანი ფაქტების შემთხვევაში მის უწყებას გაუჭირდება რეაგირების განხორციელება.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო საკითხთან დაკავშირებით („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა განცხადებით, ხობში საგანგებოდ ჩავიდნენ და ყოფილი ძალოვანი ლექსო რაფავას დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ბედოიძე და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მამუკა ჭელიძე. მას გვიან ღამით სახლში შეუვარდნენ და ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად ხელყუმბარაც დაუდეს. ჩხრეკა ჩატარდა პოლიციის მაიორ რუსლან შამახიას სახლშიც. პოლიციას 20-მდე დასაკავებელი ადამიანის სია აქვს, რომლებიც ოპოზიციის ხმებს იცავენ და არჩევნების გაყალბების სქემას შიფრავენ. ოპოზიციაში ამბობენ, რომ მიზანი ამომრჩევლის დაშინებაა), ბატონი ალექსანდრე დარახველიძის თქმით, შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ჩატარდა ლ.რ-ს ბინის ჩხრეკა და ამოღებულ იქნა არაერთი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. დაწყებულია გამოძიება და ბრალი წაყენებული აქვს ზემოხსენებულ პირს. რ.შ-ს საცხოვრებელ სახლშიც ჩატარდა ჩხრეკა, მაგრამ ამ ეტაპზე ის დაკავებული არ არის. საქმეზეც მიმდინარეობს გამოძიება, რის შემდგომაც მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე (საჩხერეში მოძრაობის „საქართველოსთვის" წევრები ქალაქში კოლონით გადაადგილებას გეგმავდნენ. მათთვის სხვა ავტომობილებიდან კვერცხების სროლას ადგილზე ხმაური მოჰყვა. აქტივისტების განცხადებით, ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე ჭიათურის მერია) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ჭიათურის მერი, ბატონი გივი მოდებაძე, ინციდენტის დღეს, 22 ოქტომბერს, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა სამსახურებრივ შეხვედრებზე. ბატონი გივი კატეგორიულად გამორიცხავს მის ყოფნას შემთხვევის ადგილზე და, მითუფრო, ინციდენტში მონაწილეობას. ამასთან, ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის თქმით, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

მედიამონიტორინგის შემდეგ საკითხზე (პარლამენტარ გივი მიქანაძის (საქართველოს პარლამენტის წევრი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“) განცხადებით, ნიკანორ მელიამ ვასილ ურუშაძე წარადგინა თავისი გუნდის წევრად და თბილისის მერიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატად, რითაც დასტურდება ურუშაძისა და პლატფორმა 20/20-ის პირდაპირი კავშირი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“. ბატონი გივის ინფორმაციით, იგი 2020-2021 წლებში გამოირჩეოდა არჩევნების მადესკრიდიტირებელი კამპანიის წარმოებით, რის გამოც არაერთხელ საჯაროდ მოითხოვა, პოლიტიკურ სუბიექტებთან აფილირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაესაჯაროებინათ დაფინანსების წყარო. რაკი ბატონი ურუშაძე ოფიციალურად დასახელდა ოპოზიციური პარტიების გუნდის წევრად, ბატონი გივი მიქანაძის მოთხოვნაა, პლატფორმა 20/20-მა საჯაროდ წარმოადგინოს არჩევნებზე მონიტორინგის და პროექტ „ხმის მცველის“ დაფინანსების წყარო, რადგან მიაჩნია, რომ შესაძლოა, მათი საქმიანობა განიხილებოდეს უკანონო შემოწირულობად) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა ბესიკ ქოჩიაშვილმა, განაცხადა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ფარგლებში სწავლობს არა მარტო პოლიტიკური პარტიებისა თუ საარჩევნო სუბიექტების, არამედ ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის საქმიანობას ფინანსური რესურსის დახარჯვის კუთხით რომელიმე პარტიის სასარგებლოდ ან/და მის საწინააღმდეგოდ. ბატონი ბესიკის თქმით, პლატფორმა 20/20-ის საქმიანობაში არ იკვეთება ისეთი ქმედება, რაც გამოიწვევდა აუდიტის სამსახურის მიერ მონიტორინგს. ის ფაქტი, რომ ბატონი ვასილ ურუშაძე წარადგინეს ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატად, ვერ ჩაითვლებოდა მონიტორინგის სუბიექტად ცნობის საფუძვლად. ამასთან, ბატონი ბესიკის თქმით, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით უკანონო შემოწირულობას ადგილი არ აქვს.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე) მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე თბილისის მე-10 საჯარო სკოლის დირექტორის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასახელებული დირექტორი გახლდათ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6-წლიანი ვადის ამოწურვის შემდგომ გათავისუფლდა და, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია პოლიტიკური ნიშნით მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება.

შემდეგ საკითხზე („შაბათის მთავარმა“ ჟურნალისტური ექსპერიმენტით გამოარკვია, რომ მმართველმა პარტიამ ბაგა-ბაღებსა და სპორტულ ა(ა)იპ-ებში ხალხის შეგროვება უკვე დაიწყო. დირექტივები მოდის „ქართული ოცნების“ რეგიონული მდივნისგან, რომელმაც იგივე საჯარო მოხელეები შარაგზაზე დააყენა ცოცხებით ხელში. მმართველ პარტიას 27 ოქტომბერს დაგეგმილ აქციაზე ამჯერადაც შანტაჟით, დაშინებითა და მუქარით მიჰყავს ხალხი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა, ბატონმა მამუკა ჯაყელმა, განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ბაგა-ბაღებისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლების ზემოხსენებულ საკითხში ჩართულობასთან დაკავშირებით სიმართლეს არ შესაბამება.

რაც შეეხება რუსთავში დავით კირკიტაძის საარჩევნო შტაბთან დაპირისპირებას, ბატონმა გიორგი ოსაძემ (შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი) განაცხადა, რომ დაწყებულია გამოძიება სსკ 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ძალადობა). გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ რუსთავში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი აპროტესტებდა რუსთავის მერობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიას. ამასთან, აქციის მიმდინარეობისას მომხდარი კონფლიქტი შეკრებილ პირებსა და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს შორის გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. ბატონი გიორგის თქმით, საქმეზე აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება; გამოკითხულია 30-მდე პირი; ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო მომედება. ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ზემოხსენებული საკითხიდან გამომდინარე, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კვლავაც აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მიზანია წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური მოტივით გამოწვეული ძალადობრივი ინციდენტებისა და დაპირისპირებების თავიდან აცილება. მისი თქმით, ზემოხსენებული ინციდენტები ნეგატიურად აისახება წინასაარჩევნო გარემოზე. მან კომისიის სახელით კვლავ შეახსენა საარჩევნო პროცესში ჩართულ პირებსა და საჯარო მოსამსახურეებს, რომ რეკომენდაცია კვლავაც ძალაშია და ინარჩუნებს აქტუალობას.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხზე (კონსტანტინე შარაშენიძის აქტივისტი, გურიანთელი ნონა გოგოლაური აცხადებს, რომ მას „ქართული ოცნების“ მომხრე მოჭიდავეები დაჰყვებიან, რომელთაც მის მეუღლესთან კომუნიკაციისას მოითხოვეს საარჩევნო პროცესებისგან ქალბატონის ჩამოშორება) ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, რომ მის უწყებაში მსგავსი შინაარსის განცხადება არ შესულა. ამასთან, ინფორმაცია არის ზოგადი სახის და ამ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუჭირდება რეაგირების განხორციელება.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა:

– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

სხდომა დასრულდა 14:05 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: